ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25) 29 ნოემბერი 2012 წელი

ბრძანება №241

გიორგი ხუროშვილის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტი – გიორგი ხუროშვილი მივლინებულ იქნეს ქალაქ ქუთაისში სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე წლის 30 ნოემბერს.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტს-გიორგი ხუროშვილს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer